სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

შპს „ინერტული მასალების კომბინატს“ თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვედა სიმონეთში გააჩნია ლიცენზია (№10001396) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე (ჯამში 330 150 მ³ მდინარის ბალასტზე, ფართობი 11 ჰექტარი). კომპანიას მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების მიზნით, ამავე ტერიტორიაზე (ლიცენზირებულ ობიექტზე) განთავსებული აქვს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარი.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-5 პუნქტის, 5.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი დანადგარის მოწყობისა და ექსპლუატაციის მიზნით მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი. გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

შპს „ინერტული მასალების კომბინატის“ დირექტორი

ლევან სვანაძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„13“ 07 2022 წ.
№ 3178